

ეთერ ბოკელავაძე*

კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის შედეგები საქართველოში
(ძირითადი ასპექტები)

კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას საქართველოში დაახლოებით ექვსსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი ოფიციალურად XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება და XIX საუკუნის დამდეგამდე მოდის. ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მისიონერთა მრავალმხრივმა, ნაყოფიერმა მოღვაწეობამ სერიოზული როლი შეასრულა ქართველთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სარწმუნოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში.

კათოლიკური ეკლესიისა და მისი საქეთმპყრობლის – რომის საყდრის დაინტერესება საქართველოთი ჯერ კიდევ XIII საუკუნის დამდეგისათვის დაიწყო, რაც იმთავითვე პოლიტიკური ნიშნით იყო განპირობებული. აღნიშნული პერიოდისათვის დასავლურ სამყაროში მიმდინარე მოვლენების ფონზე (მხედველობაში გვაქვს რომის პაპის ინიციატივით წამოწყებული ჯვაროსნული ომები აღმოსავლეთის მუსლიმთა წინააღმდეგ), ქართული სახელმწიფო მონარქით სათავეში რომში საიმედო სამხედრო და პოლიტიკურ მოკავშირედ აღიქმებოდა, რასაც ხელს უწყობდა სარწმუნოებრივი ერთიანობაც (ამ შემთხვევაში, ზოგადად ქრისტიანობა). საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა და რომის პაპის ძალისხმევის შედეგად, პოლიტიკური კავშირი ნაწილობრივ შედგა.¹ აქედან მოყოლებული კი წმინდა პეტრეს ტახტი ქართულ პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ თუ კულტურულ ცხოვრებას მჭიდროდ დაუკავშირდა.

საქართველო-რომის ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიური გვიანშუასაუკუნეებში გახდა. აღნიშნულს თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ამ პერიოდისათვის საქართველო პოლიტიკურად დაქუცმაცებულ, ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანას წარმოადგენდა. შიდა არეულობას ამძიმებდა საგარეო

* თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობის II კურსის მაგისტრანტი

¹ ვრცლად იხილეთ: შ. ბადრიძე, ჯვაროსნები და საქართველო, თბ., 1973

მტრის ფაქტორიც (მხედველობაში გვაქვს ირანისა და ოსმალეთის სწრაფვა კავკასიაში ჰეგემონობისათვის), რასაც უპირობოდ სოციალური და ეკონომიკური კრიზისი ახლდა თან. ეს უკანასკნელნი კი თავის მხრივ განაპირობებდნენ ქვეყნის კრიზისს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. არსებული ვითარება ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს საქართველოში ქრისტიან მისიონერთა აქტიური მოღვაწეობისათვის.

რომის ეკლესიის ინტერესები საქართველოსადმი გვიანშუასაუკუნეებშიც არსებითად პოლიტიკური ნიშნით ხასიათდებოდა. ისტორიულად ცნობილია, რომ XVI-XVII სს ოსმალთა სამხედრო წარმატებებმა ევროპის მიმართულებით სერიოზული საფრთხე შეუქმნა დასავლურ სამყაროს. სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიების დაპყრობამ დასავლურ სახელმწიფოთა მეთაურები აიძულა აქტიურად ემოქმედათ ოსმალთა წინსვლის შეჩერებისათვის. ოსმალთა საფრთხის განეიტრალების მიზნით, დაიწყო ანტი-ოსმალური კოალიციის ჩამოყალიბება, რომლის მთავარ იდეოლოგიად რომის პაპი იქცა. კოალიცია მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ევროპის, არამედ აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ჩართვას ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასეთ ვითარებაში რომი ოსმალთა თავდასხმებისგან დასუსტებულ საქართველოს მოიხარებდა, როგორც მოკავშირეს და აქტიურ მონაწილეს კოალიციისა. თუმცა სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობის გარდა, რომის ინტერესებს საქართველოსადმი განსაზღვრავდა წმინდა სარწმუნოებრივი ფაქტორიც: XVI-XVII საუკუნეებში მასშტაბური პროტესტანტული მოძრაობების შედეგად, ევროპაში შერყეული პოზიციების აღდგენას პაპის ტახტი აღმოსავლეთის ქვეყნებში კათოლიკობის გავრცელება-დამკვიდრების გზით ცდილობდა. ამ საქმეში პლაცდარმის როლი საქართველოს ენიჭებოდა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი უნდა გამხდარიყო აღმოსავლეთში ვატიკანის მიზნების განხორციელება [5:81] თავის მხრივ დაქუცმაცებული საქართველოს მეფე-მთავრები გადარჩენის შანსს, დასავლურ სამყაროსთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში ხედავდნენ, ამგვარად ინტერესი და სურვილი ურთიერთკავშირისა, ორმხრივი იყო. შედეგად, XVI-XVIII საუკუნეებში პაპის მისიონერებმა საქართველოში ფეხი მყარად მოიკიდეს.

ქართულ მიწა-წყალზე დამკვიდრებული მისიონერები ადგილობრივი სამეფო თუ სამთავრო ხელისუფლების მხრიდან უმეტესწილად მფარველობითა და პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მათ კარგად აუღეს ალლო საქართველოში არსებულ ვითარებას და მუშაობაც იმ მიმართულებით გაშალეს, რაც ქვეყნის პოლიტიკური ათვისებისათვის იყო საჭირო.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ეკონომიკური ფაქტორი. როგორც ზემოთ ითქვა, აგრესორ დამპყრობელთა თავდასხმებისგან საქართველო ეკონომიკურად ძალიან დაძაბუნდა, რამაც ქვეყანაში უკიდურესად მძიმე სოციალური პირობები წარმოშვა. საქართველოში კათოლიკე ბერების მოღვაწეობამ გზა გაუხსნა ევროპულ სავაჭრო კაპიტალს. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დაარსდა მრავალი სავაჭრო და სახელოსნო, გამოცოცხლდა ვაჭრობა, გაღრმავდა სავაჭრო ურთიერთობები ევროპასთან. საქართველოში ვაჭრობა იმდენად განვითარდა, რომ უკვე XVIII საუკუნეში ქართველი ვაჭრები მსოფლიო ასპარაზზე გამოჩნდნენ, მათ ფეხი მოიკიდეს როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე ევროპაში. (უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ვაჭართა წარმატება მნიშვნელოვნად იყო განპირობებული საქართველოში შემოსულ ევროპულ სავაჭრო კაპიტალთან კონკურენციით, რაც მათ ძლიერ სტიმულს აძლევდა). სავაჭრო-ეკონომიკური წინსვლა საქართველოსთვის ცხადია, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, პროგრესული მოვლენა იყო, რაც რომის ეკლესიის მისიონის დამსახურებას წარმოადგენს, თუმცა მას ჰქონდა მეორე მხარეც: ქვეყნის ეკონომიკური ბერკეტები ევროპელ მისიონერთა, უკეთეს შემთხვევაში კი გაკათოლიკებულ ქართველთა ხელში მოექცა. აღნიშნული არცთუ უსაფრთხო იყო ქართული სახელმწიფოსათვის.

კათოლიკე მისიონერები საქართველოში განსაკუთრებით ნაყოფიერად კულტურულ-საგანმანათლებლო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ. ცნობილია, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში დაფუძნებიდან მალე, მათ მეფე-მთავართა მიერ ბოძებულ ეკლესიებთან საგანმანათლებლო სკოლები დაარსეს, სადაც ქრისტიანობისა თუ სხვა აღმსარებლობის ქართველ ბავშვებს ასწავლიდნენ თეოლოგიას, ფილოსოფიას, სხვადასხვა სახის საერო მეცნიერებებს. სკოლებში ბავშვები სწავლობდნენ ქართულ, იტალიურსა და ლათინურ ენებს. საგულისხმოა, ის, რომ ქართული ენის გრამატიკის პირველი სახელმძღვანელოები სწორედ კათოლიკე, თეატინელთა ორდენის ბერებმა შეადგინეს (ფრანჩესკო მარია მაჯიო, ანტონიო ჯარდინა). მათ თარგმნეს ქართულად კატეხიზმო და სხვადასხვა სახის თეოლოგიური წიგნები. მისიონერები განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდებს რომის საეკლესიო-საპროპაგანდო კოლეგიის სასწავლებლებში გზავნიდნენ სასწავლებლად. ცნობილია, რომ 1633-1753 წლებში რომში განათლება დაახლოებით 27-მა ქართველმა ყმანვილმა მიიღო [5:128] გვიანშუასაუკუნეების საქართველოში საერო თუ სასულიერო განათლების დანერგვა და გავრცელება უდავოდ პოზიტიური მოვლენა იყო, თუმცა მისი უარყოფითი

მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ ამ გზით კათოლიკური მისიონი საქართველოში თავის კადრებს ამზადებდა. რომში განათლება მიღებული ქართველი მოზარდები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ხელს უწყობდნენ ქვეყნის გაკათოლიკებას. პროპაგანდა ფიდეუს დაკვეთით, ისინი იწყებდნენ სამისიონერო მოღვაწეობას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში. რომის პოზიციების განმტკიცება საქართველოში და მისადმი ქართული საზოგადოების მხარდაჭერა, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. წნეხის ქვეშ მოექცა ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებაც. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ, რომ არა შემდგომში განვითარებული მოვლენები (მხედველობაში გვაქვს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია და კათოლიკეთა პოზიციების შესუსტება), მისიონერთა იდეოლოგიური წვრთნა საქართველოში მათთვის სასურველ შედეგს გამოიღებდა.

ქართველთა იდეოლოგიური წვრთნის პროცესში, კათოლიკე ბერების ყველაზე ეფექტურ მეთოდს მედიცინა წარმოადგენდა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში გარეშე ძალების ხშირი თავდასხმებისა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, მრავალი სენი გავრცელდა, რომელმაც ქართველ მოსახლეობასთან ერთად, მისიონერთა დიდი ნაწილიც იმსხვერპლა. კათოლიკე ბერები ფლობდნენ სამედიცინო განათლებას, შეეძლოთ წამლების დამზადება (მაგ. ქინაქინა). ინტენსიურად მკურნალობდნენ მძიმე სენით დაავადებულებს. ისინი „ყველგან და ყოველთვის ექიმებიც იყვნენ“. მედიცინა კათოლიკობის გავრცელების ძლიერი და უტყუარი საშუალება იყო და მისიონერებიც მას უძველესი დროიდან იყენებდნენ. საქართველოს მინა-წყალზე მათ ეკლესიების და სკოლების გვერდით, ერთგვარი საავადმყოფოები და მოხუც-უძლურთა თავშესაფრები გახსნეს. მედიცინას ასწავლიდნენ ქართველ ახალგაზრდებსაც. მკურნალობის პროცესში, კათოლიკე ბერები მედიკამენტების პარალელურად, უძლურებს არწმუნებდნენ, რომ ღვთის რწმენა და ლოცვის ძალა კურნავდა მათ [5:129-130].

მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ქართველი საზოგადოება, რომელიც საკუთარი თვალთ ხედავდა მისიონერთა შემწეობასა და თავდადებას, მათადმი ნდობითა და კეთილგანწყობით იმსჯელებოდა. აღნიშნული კი ხელს უწყობდა მათში კათოლიკური სწავლების ადვილად დანერგვას და ვატიკანის მიზნების განხორციელებას.

კათოლიკე მისიონერთა სახელს უკავშირდება საქართველოში ყველაზე მძიმე სენის – ტყვეთა სყიდვის იძულებითი ტრადიციის დაძლივა, რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოში იყო

გავრცელებული. XVII საუკუნის 30-40-ან წლებში ამ ტერიტორიაზე თეატინელთა ორდენის ბერები მოღვაწეობდნენ, რომლებიც იმერეთის მეფისა და გურიისა და სამეგრელოს მთავრების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ. თეატინელთა აქტიური მეცადინეობის შედეგად, 1640 წელს ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა ტყვეთა სყიდვა აკრძალა, ამ ღონისძიებამ ქართულ საზოგადოებაში კათოლიკე მისიონერთა ავტორიტეტი საგრძნობლად გაზარდა, რაც პირდაპირ უარყოფითად მოქმედებდა მართლმადიდებელი სამღვდელოების როლზე.

დასასრულს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კათოლიკურმა მისიონმა საქართველოში, არსებული დროისა და შესაძლებლობების ფარგლებში საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა. მათი მეცადინეობის შედეგად, საქართველოში გაუმჯობესდა სოციალური და ეკონომიკური პირობები, განათლების სისტემა, ევროპა გაეცნო ქართულ კულტურას: თუმცა იმავდროულად, ყოველივე ეს, იდეოლოგიური თვალსაზრისით ძირს უთხრიდა ქართულ მართლმადიდებლურ სახელმწიფოს (აქ მოვიაზრებთ, არა უშუალოდ ამ პროცესებს, არამედ აღნიშნულ პროცესებში კათოლიკეთა საქეთმპყრობელის როლს), ასუსტებდა ეროვნული ეკლესიის როლს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბადრიძე შ., ჯვაროსნები და საქართველო, თბ., 1973
2. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902
3. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამითგან დღემდე, თბ., 1995
4. ლომსაძე შ., გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან: ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979
5. პავლიაშვილი ქ., კათოლიკური ეკლესია და საქართველო (XVII საუკუნის I ნახევარი), თბ., 1994
6. პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს, თბ., 1995

Eter Bokelavadze

The activities of Catholic missionaries in Georgia

(main aspects)

Summary

Activities of Catholic missionaries has a century-old history in Georgia. It officially started in the first half of the 13th century and continued till the beginning of the 20th century. During this period the missionaries multilateral work played a significant part in Georgia's political, economic, social, cultural and religious life.

The article discusses the major aspects of Catholic missionaries' activity in Georgia and it's positive as well as negative results.

* Tbilisi Ivane Javakishvili State University, Faculty of humanities, Direction - History of Christianity, II year MA Student